

ქალის როლი აზერბაიჯანულ თემში

„ქალების ნარატივები“

ლაშა ნინიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოციალური სამუშაოს ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ლაშა ნინიაშვილი ----- 26.06.2017 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ქალის როლის და დანიშნულების შესწავლის მცდელობას აზერბაიჯანულ თემში. აქცენტი გაკეთებულია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ერთის მხრივ წარმატებული და მეორეს მხრივ ოჯახში მცხოვრები აზერბაიჯანელი ქალების იდენტობების აღქმა. კვლევა ცდილობს დაადგინოს განსხვავებები ქალების ამ ორი ჯგუფის შეხედულებებს შორის.

კვლევა წარმოადგენს ფოტოვოისის და სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის გზით მოპოვებულ და დამუშავებულ ინფორმაციას. ფოტოვოისის მეთოდი ერთიორად საინტერესოს ხდის კვლევის პროცესს რესპონდენტებისთვის. მაღალია მათი გულახდილობის და ჩართულობის ხარისხი, რაც თავის მხრივ, ზრდის კვლევის სანდოობას და ვალიდობას. მკვლევარი ისეთ პრობლემურ კითხვებზე სცემს პასუხს, როგორებიცაა აზერბაიჯანელი ქალების ყოველდღიური პრობლემების განსაზღვრა და მათი კორელაცია რესპონდენტების სქესთან, ძალაუფლების განაწილება ოჯახში, ქალების მიერ დანახული გენდერული როლები და მათ მიერ აღქმული მუსლიმი ქალი, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

კვლევის ძირითადი მიზანია უპასუხოს საქართველოსა და არა მარტო მის მოსახლეობაში გავრცელებულ სტერეოტიპებს მუსლიმი ქალების ცხოვრების, აღქმების და დამოკიდებულებების შესახებ. როგორია ნამდვილი მუსლიმი ქალი, მუსლიმი ქალის აზრით? რამდენად განსხვავდება ოჯახში მცხოვრები მუსლიმი ქალების შეხედულება ამ საკითხზე, წარმატებული, დასაქმებული მუსლიმი ქალების შეხედულებისგან? სწორედ ზემოთხსენებულ კითხვებზე პასუხებს მივყავართ საინტერესო დასკვნებამდე, რაც კვლევას ნებისმიერი მკითხველისთვის ღირებულს ხდის.

კვლევის აქტუალობას განაპირობებს, პირველ რიგში, გენდერული საკითხების მიმართ თანამედროვე სამყაროში არსებული ინტერესი. ასევე, საქართველოში მცხოვრები მუსლიმების ცხოვრების წესის, მრწამსის და რელიგიის მიმართ დაინტერესება და ინფორმაციის ნაკლებობა. ვფიქრობ, კვლევა დაეხმარება ამ საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებს და ბიძგს მისცემს უფრო მასშტაბურ კვლევებს.

## Abstract

Following thesis covers the attempt of studying women's role and place in Azerbaijanian community. Here are the main topics the research considers: how housewife women and successful Azerbaijanian women perceive their identity and how these perceptions differ from each other.

Two methods are used for collecting data during the research is conducted: Photovoice and interview. Photovoice method was especially interesting for interviewees. It doubled the interest of the topic, rose their honesty and involvement that effected the reliability of the research positively. Researcher answers the problematic questions, such as everyday challenges of Azerbaijanian women and its correlation to gender, power sharing in a family, gender roles seen by the women and perception of muslim woman as a valuable member of the society.

Study aims to face the stereotypes about muslim women's life, perceptions and attitudes spread not only in Georgia, but other societies as well. Who may we consider a good muslim woman? What are the differences between the opinions of housewife women and successful, employed muslim women? Answers of these questions lead us to the interesting answers and it made research valuable for every eager reader.

Gender issues are discussed in the modern world heavily and I think the raising interest of this topic makes research much more interesting. Muslims, who live in Georgia, their life-style, religion and beliefs often become the center of people's attention. I think that thesis will encourage individuals, interested in this topic for further researches.